5·72
1991

ISSN 0132-5965

140

1991 წ. ივლისი № 7

ჭიანჭველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოხუცი მეტყევის ნათქვამი

ემზარ კვიტაიშვილი

ტყეს ნურავის აჩეხინებთ,
უმაწვილებო ჩემო,
სოკოს,
მარწყვის,
წყაროს წყალის
არ დაკარგოთ გემო.
ცელის ეოველ შემოკვრაზე
წიფლის მესმის ხვნეშა...
აქ ისედაც ბლომად არის
ფიჩხი, ხმელი შეშა.
თუ მოგინდათ, წამში, ხელად
გააჩაღებთ კოცონს,
ზოგ ხარბს მაინც ხის მოჭრა და
დანარცხება მოსწონს.
ზოგი თვითონ იქცა მხეცად,
ცოცხალს არას ინდობს,
დაწანწალობს თოფით ხელში,
ტყე-ტყე, მინდორ-მინდორ.
ქვის გული აქვთ — ნადირთ ხოცვა,
ფრინველების ჟლეტა,
ბთქა-ბუთქი ამ უგნურებს
არ მობეზრდათ ნეტა!?.
ღადანებდეს ბარში ეანა,
მთაში — სვილი, შვრია...
რა სჯობია ალიონზე
ვერხვის, მუხის შრიალს.
ზაფხულია და გუგულის
რეკავს „კაფე-თესე!“
არსად არის სილამაზე
უმჯობესი ტყეზე.

მხატვარი ვაჟა ქურხული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღარის წყაროს ნაამბობი

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

— არავისაც არ გეხსომებათ, როდის დავიბადე, როდის აავსებრუხდი წყაროდ. არც თქვენ გეხსომებათ ღელეში მწვანედ აბიბინებული, ლამაზო ყვავილებო, არც თქვენ, შრიალა, მაღალო ხეებო, ზევიდან რომ გადმომცქერით და ცა ქოლგასავით შეგიკრავთ.

პირველად თვალი რომ გავახილე, თქვენ მაშინ პატარები იყავით, ხეებო, ერთი ციცქნები, ბუჩქებში მიმალულები და თავლით შეუმჩნეველნი. თქვენს ადგილას სხვა უზარმაზარი თელები, მუხები და წიფლები ხარობდნენ. თითო იმხელა წამომართულიყო, თვალს ვერ ვაწვდენდი. ისინი ჟამთა სვლამ გაიყოლა. ზოგი სიბერემ დაადაბუნა, ქარიანებამ დალეწა და ძირფესვიანად ამოაგდო. ზოგი ადამიანის ხელმა გაჩეხა და ძირს დასცა უმოწყალოდ. ისინი ცოცხლები რომ იყვნენ, ემახსოვრებოდათ, როგორ გავიწყდი ამ ქვეყანაზე.

ჩემზე მარტო ამ მაღალ, სახეჩამოყამულ კლდეს შეუძლია რამე გითხრათ, რომლის ძირში გამოვედინები და მერე ღელე-ღელე მივლიკლიკებ. მაგრამ არაფერს ამბობს, სულ მუდამ მდუმარე და ფიქრიანია. ნეტავი რამ ჩააფიქრა, რომ არც სიხარულისას ამოსთქვამს რამეს, არც სამწუხარისას დაიჩივლებს. მაგის ხმის ამოღება მარტო ის არის, უცებ ღოდი რომ მოსწყდება ან ქიმი ჩამოეშლება და საშინელი ხმაურით ღელეში გადაეშვება. მიდის და მიაქვს არე-მარე. იღეწებიან ნორჩი ხეები. კვნესაან გადაგლეჯილი ბალახები. შორს იკარგება ჩემთან დასაროწყულებლად მოსული ნადირ-ფრინველი.

მაშინ მეც შევფიქრიანდები ხოლმე. ასე მგონია, მთლად ჩამოიქცევა, ზედ დამეყრება, და ისევ გაქრება ჩემი სახსენებელი, როგორც წინათ, ვიდრე კეთილი ადამიანები მომაგნებდნენ და ღელის ნათელზე გამომიყვანდნენ. მანამდე ჩემი არსებობა არავინ იცოდა. მიწის, კლდის ჩამონაქცევებსა და შემოდგომის ფოთლებქვეშ, სიბნელეში მივიპარებოდი. ხშირად მიტირია კიდეც, რადგან არავის ვჭირდებოდი, ჩემი ცივი, ბროლივით კამკამა წყლით წყურვილს ვერავის მოვუკლავდი. ჩუმად მივდუდუნებდი იმ ნაპარქვეშ და თან ერთი დიდი ნატვრა მიმყვებოდა — ვინმეს ვეპოვნე და წყაროდ ავეწუხრუხებინე.

გულდარდიანს ერთხელ ადამიანთა ლაპარაკი მომესმა.

— შეხედე, კლდის ძირი ისეა დანესტიანებული, მანდ წყარო უნდა გამოდიოდესო, — თქვა კაცმა.

— მართალია, მამი! მოდი, მოვთხაროთ, იქნებ წყარო ვიპოვოთ, რომ იცოდე,ქწყურიაო, — გაეპასუხა ყმაწვილი.

ეს რომ გავიგონე, სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა. ახლა კი მეშველება-მეთქი, — გავიფიქრე და მოუთმენლად ველოდი, როდის გადათხრიდნენ მამაშვილი მიწას, როდის მომაცილებდნენ ფოთლებსა და ქვა-ღორღს, ზედ რომ მეყარა და სულს მიხუთავდა.

იმ კეთილმა ხალხმა მალე მიპოვა. მთელი ის ვაივაგლახი მომაცილეს და ხის ტოტებში გამოპარულმა მზის სხივმა თვალი მომჭრა. რა კარგი ყოფილა თავისუფლება. სიხარულისაგან დავმუნჯდი, დავგუბდი, ავირ-დავირიე, აღარ ვიცოდი, საით მომეძებნა გზა, საით წავსულიყავი.

ისევ მამა-შვილმა მიშველეს. იმათ მომიყვანეს გონზე. კლდის ძირში მუხის ქერქის ღარი დამიდეს და ზედ გადამატარეს.

აეჩხრიალდი და რას ავჩხრიალდი. უცებ ამოვიდგი ენა. მერე დავეშვი ღელე-ღელე. ტყე გაოცებული მომჩერებოდა, საიდან მოვიდა, ამ უწყლო ღელეში რანაირად გაჩნდაო.

იმ დღის შემდეგ ბიჭი ხშირად მნახულობდა. ღარის წყაროც იმან შემარქვა. ისე არ მოვიდოდა ტყეში, რომ ჩემთან არ მოერბინა. ყმაწვილს სიმღერა ეხერხებოდა და შორიდანვე ვცნობდი მის ტოროლასავით წკრიალა ხმას.

მხატვარი ლალი ლომთაძე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდოდა. — გამარჯობა, ღარის წყაროო! — მომესალმებოდა. მოიღეღავდა გულისპირს და ოქროს პაწაწინა ჯვარი გამოუწნდებოდა. დალევდა წყალს, სველ ხელს კისერსა და მკერდზე მოისვავდა. გაგრილდებოდა და სიმღერითვე დამეშვიდობებოდა.

ერთხელ ორი უცხო კაცი მესტუმრა. თავზე შავი ფაფახი ეხურათ, თვითონაც შავები იყვნენ, წვერულვაშში თვალები ძლივს მოუჩანდათ. მოკლე ნაბდებქვეშ ხანჯლები უბრწყინავდათ. მწყურვალები ჩანდნენ. ხარბად წრუპავდნენ წყალს. მერე ფაფახები მოიხადეს; გადაპარსულ ტყვიისფერ თავებზე პეშვით წყალი ისხეს, სიამოვნებით ფრუტუნებდნენ.

იმ დროს ტყეში სიმღერა გაისმა. ვიცოდი, ის ყმაწვილი იყო. მალე ჩემთან გაჩნდებოდა და მხიარულად აკვლიკლიკდებოდი.

რა ვიცი, რა ეშმაკი შეუჯდა იმ ორ უცხოს. ჯერ გაიტრუნენ, ყური მიუგდეს. მერე რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს, ფაფახები დაიხურეს და სწრაფად გამშორდნენ. ბუჩქებში დაიმალნენ.

ბიჭი მოვიდა.

— გამარჯობა, ღარის წყაროვ, კლდის ლოდმა ხომ არ დაგაზიანაო, — მკითხა ზრუნვით და ამათვალ-ჩამათვალიერა. ხელები გამოიშვირა, რომ წყალი დაელია.

აღარ დასცალდა. ის ორი უცხო, ბუჩქებში რომ იმალებოდა, უცებ მოცვივდნენ, ყმაწვილს ქორებივით დააცხრნენ. მიშველეთო, იყვირა ბიჭმა. მეტის დაძახება ვეღარ მოასწრო. პირზე ხელი აეფარეს და ტყეში გაიტაცეს.

მივხვდი, რომ რაღაც ცუდი ამბავი შეემთხვა ბიჭს.

— უშველეთ, უშველეთ! — ავჩხრიალდი, რაც შემეძლო, და უფრო გამალებით დავეშვი თავქვე. მინდოდა ჩემი ხმა მთელ ტყეს გაეგონა. მაგრამ მშველელი არ ჩანდა.

გავიდა ხანი. ბევრჯერ დასცვივდათ ფოთლები და ბევრჯერ შეიმოსნენ ხეები მწვანით. კლდიდან მოწყვეტილმა ქვამ მეც დამამჩნია ადაღი; მუხის ქერქის ღარი გამტაცა და ხმა ჩამიწყდა, დავმუნჯდი. ვიცოდი, ისევ მალე დამეყრებოდა ქვა-ღორღი, მიწა დამფარავდა და გაქრებოდა ჩემი სახსენებელი. ამიტომ ჩუმად ვტირიდი, ჩუმად მივიპარებოდი ღელე-ღელე.

ერთხელ ტყეში უჩვეულო ხმაური ატყდა. გაჭქონდა ხმელ ტოტებს ლაწალუწი, შრიალებდნენ ფოთლები. ტყის ბილიკზე ვიღაც უქუდო, ახლად წვერულვაშაშლილი ჭაბუკი გამოწნდა. მწყურვალე ხარირემივით მოირბინა ჩემთან. დაჭრილი იყო. მხარი დასისხლიანებოდა. დაღლილ-დაქანცულმა და პირგამშრალმა პეშვი წყლით გაიგსო და ხარბად შესვა. წინ რომ გადმოიხარა, უბიდან ოქროს ჯვარი გადმოეკიდა.

— მიცანი? ის ბიჭი ვარ, ღარის წყაროვ, პატარაობისას შენთან სიმღერით რომ მოვისწრაფოდი. ისა ვარ, ლეკებმა რომ მომიტაცეს და ცხრა მთა გადამატარეს. ბევრი მტანჯეს, მაწვალეს, რათა ამ მიწის მადლი დამევიწყებინა, ქრისტეს ხჯულისთვის მეღალატა, მშობლები ამომეგდო გულიდან. მაინც ვერ გამტეხეს. შენ არ იცი, რამდენჯერ ვინატრე იმ წყეულ მხარეში. იმათს არც წყალს ჰქონდა ვემო და არც პურს. იმიტომაც დავკარი ფეხი და გამოვიქეცი. შენ კი ვენაცვალე, წყაროვ! ისევ ისეთი სუფთა და ცივციველა ხარ. ვხედავ, ღარი მოგშლია, მაგისი ნუ დაგენაღვლება. სოფლიდან კრამიტს ამოვიტან და იმაზე აგაჩხრიალებ! — მეჩურჩულებოდა ჭაბუკი და ცრემლიანი თვალები რომ დაემალა, მალ-მალე წყალს ისხამდა პირზე.

იმის მაცქერალი მეც ავტირდი. ტიროდა კლდეც, ოღონდ ჩუმად, უმბოდ, როგორც კლდეებს სჩვეიათ.

ხო გითხარით, დიდი ხნის ამბავია, არავის გეხსომებათ. მარტო ეს კლდეა მოწმე, მაგრამ არაფერი დასცდება, არაფერს იტყვის. ნეტავი ვიცოდე, რა საფიქრალი გასჩენია, როდემდე იქნება უტყვი და მდუმარი, როდემდე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაში

ლია კობალაძე

მწკრივში ხელად ჩადგა ეველა,
აბაკუნდა ეველა ფეხი,
და ელმავალს მურიკელა
გამოუნოო კისრისტეხით.
მიგუგუნებს, მიჩუქჩუქებს,
მიაქროლებს გივის, შუქრის,
აგერ, ეზოს გასცდნენ უკვე,
ჩუქუ-ჩუქუ, ჩუქი-ჩუქი.
გაიარეს ეს წალკოტი,
გაიარეს ის წალკოტი,
აქეთ ტეე და იქით კორდი,
აქ — ეს ბონდი, იქ — ის ბონდი.

ეს ქალაქი, ის ქალაქი,
ეს სოფელი, ის სოფელი,
უამრავი აგარაკი,
სადგომი და სამეოფელი.
ჩაუქროლეს ამ მთის კალთას,
ჩაუქროლეს იმ მთის კალთას,
იქშუტუნეს ალთა-ბალთა
და კვლავ გაჩნდნენ ეზოს კართან.
ჭიჭიი... ჭიჭიი... — კივის გივი,
მიზუზუნებს შუქრის შოლტიც,
ელმავალი მართალივით
მიქრის, როგორც ქარაშოტი.

მხატვარი ზაურ დეისაძე

ტანკი

რევაზ ინანიშვილი

მხატვარი **ედუარდ ამბოკაძე**

იანვარია. ზამთრის არდადეგები ესესაა დამთავრდა. თოვს, თხლად არის დადებული სახლების სახურავებზე, გორაკებზე და ხეებზე. ასეთ ამინდზე ძველად იტყოდნენ: სამოკეთეო ამინდიაო. ნათესაობა ერთმანეთთან მიდიოდა თვალისა და ჯანის დასასვენებლად. სკოლაშიც, მეორე გაკვეთილის ბოლოს, მოიყვანეს ერთი მანქანა რუსის ბავშვებისა. ვინც რომელ კლასში იყო, იმ კლასში სხამდნენ. რუს ბავშვებს ბევრი სათამაშო ჰქონდათ. ეტყობა გადანაცვლების საშუალებებით იყვნენ გატაცებულნი — ჰქონდათ საკუთარი ხელით ნაკეთი ტანკები, გემები, რაკეტები, ფურგონები და ორთვალა ტაჰკები.

პირველი საათისათვის მოწაფეები და მასწავლებლები სპორტულ დარბაზში იყვნენ თავმოყრილნი. ქართველი და რუსი ბავშვები ერთმანეთს აჩვენებდნენ თავიანთ ნაკეთობებს. ჩვენმა დირექტორმა ძალიან კარგი რამ მოიგონა სტუმრებისათვის — თითო ფინჯანი რძიანი ტკბილი ყავა ზედ თითო ფუნთუშით. ამ ფინჯნებს ყველა სიხარულით ხვდებოდა. ბავშვებმა ილაპარაკეს ერთმანეთის მიღწევებზე. მთავარი არისო დღეს ტექნიკის დონე. ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ერთი ახოვანი რუსი მამაკაცი მოგვადგა. მე მას ვერ ვიცნობდი. ფიზიკის მასწავლებელმა მითხრა, ეგ ჩვენიდან შარშან წასული კოლცოვის მამაო. ხან იღიმებოდა ეს კოლცოვი, ხან იღუშებოდა. არავინ იწვევდა მიმზიდველი კუთხეებისაკენ. იდგა, იდგა, მიბრუნდა და წავიდა წყნარი ღიღინით თუ უწყინარი გინებით. ცოტა ხანში გარბოდა კიდეც, და ეს სირბილი სჭირდებოდა თურმე. ერთი საათიც არ გასულა, დაბრუნდა. მაღაზიურ სქელ ქაღალდში რაღაცა ჰქონდა გახვეული, ორივე ხელით ეჭირა მკერდთან. რაღაც მუქარის ღიმილით დაუწყო გახსნა. ეს იყო ტანკი

„ტ-34“. აბსოლუტურად ზუსტი მოდელი ნამდვილი „ტ-34“-ისა. ყველა გაოცებული შორდებოდა კოლცოვს. კოლცოვი კი განაგრძობდა, თუ რა სიგრძე და სიგანე ჰქონდა მის ტანკს. მე ვაკეთებდი და ერთი მეხმარებოდა, ეს არის ალიოშა კოლცოვი, ჩემი შვილი, ამ ინტერნატის გაზრდილიო. ტანკს გამოვლილი აქვს კარგა მანძილი, ახლა იგი გამოამჟღავნებს უკეთეს მონაცემებსო. რაღაც გადაქოქა, რაღაც ბერკეტი გადართო, და ტანკი ხმაურით დაიძრა, ყველანი მას უყურებდნენ, ახლოს მიიწევდნენ... უცებ, — ბაახ! ცეცხლის შადრევანი ავარდა ტანკიდან, რამდენიმე ბავშვს ნამსხვრევი მოხვდა, სისხლი სდიოდათ. კოლცოვი კი ისევ აჭიმული იდგა,— ასეთი რამეები ყველა გამომგონებელს ემართება, რაც მე დამემართაო. მოიყვანეს სახეწითლადშეღებილი მეხუთეკლასელი გოგონა. კოლცოვმა გოგონას თავზე ხელები შემოაწყო, მაგრამ ფეხებმა ვერ გაუძლო, ჩაჯდა და სახე მუხლებში ჩაჭედა. არავინ იყო სერიოზულად დაჭრილი. მაინც დაემხო თოვლიან მიწაზე, ხან ვინ წაჰკრავდა ფეხს, ხან ვინ. ცოტა ხნით იყო შეწყვეტილი თოვა, ისევ წამოვიდა ხშირი ფიფქები, კოლცოვს ოთხი ძაღლიც დასდგომოდა საპატიო ყარაულებივითა, ეტყობოდა, იმდენი ეხოხა, ტანსაცმელი მთლად მოსვრილი ჰქონდა. არავის ეგონა, რომ ფეხზე დადგომას შეძლებდა. წაიყვანეს კი სამმა.

ფიზიკის მასწავლებელი ამბობდა: — ეგ კოლცოვი ჩვენი ატომისტებისათვის საჭირო კაცი გახდებოდა, მაგრამ არაყმა იმად აქცია, რაც ახლა ჩვენი თვალით ვნახეთო.

ყველას გვიჭირდა ერთმანეთის შეხედვა.

ᲓᲠᲣᲑᲔᲚᲝ, ᲛᲝᲓᲘ ᲘᲩᲥᲐᲠᲔ

ᲑᲔᲭᲐᲜ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

მხატვარი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲝᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

ზაფხულის სიცხემ თაკარამ
მიწა დახეთქა, დაღარა.
უწყლოდ იხრჩობა, სულს ღაფავს
ბალი, ვენახი და ყანა...
უჭირს ტყეს, სათიბ-საძოვარს,
მოთმენის თავი აღარ აქვთ...
ღრუბელო, მოდი, იჩქარე,
ახსურე წვეთი ანკარა.
მოდი, იჩქარე, სანამდე
ზვრებს, ყანებს გვალვა სულ მოხრავს.
ღრუბელო, მოდი, ოღონდაც,
სეტყვის ღრუბელო, ნუ მოხვალ!

გადარჩენა

ქეთინო ფხოველიშვილი

ჩამოდგა ზაფხული, მოვრჩით სწავლას და ძიაჩემიც, როგორც ჩემს ძმაზე უფროსს, სახლის ბატონ-პატრონად მნიშნავს, თუმცა ჩემი მომდევნო ძმა ისე წამაგავს, რომ უცხოს თანატოლები ვგონივართ. ჩვენც ვართ მთელ დღეებს სახლში და რაც შეგვიძლია, ვემსახურებით ოჯახს. ან სად უნდა წავიდეთ ეს ობლები უკეთეს ადგილას, მერე ჩვენი ეზოჟურე ისეთია, ავ თვალს არ ენახვება. სახლის უკან გაწოლილ გორაკზე მაღალგუმბათიანი, უძველესი თეთრი გიორგის ტაძარი დგას, იქვე ახლო, მიწის გულიდან ყინულივით ცივი წყარო ამოჩქეფს და ვერცხლის წვეთებივით იბნევა ბალახებში. ქვემოთ კი ჯაგნარსა და მაყვლიანში მდინარე მიედინება.

ეზოში სხვადასხვა ჯიშის ხეხილი გვიდგას, ბევრი შინაური ფრინველი, ფუტკარი და საქონელიც გვყავს. გიორგი ძიამ მათ მისახედად ადრიანად იცის ჩვენი ლოგინიდან წამოყრა. მე ყოველთვის ვცდილობ, შრომაში და სიფხიზლეში ძიაჩემს დავემსგავსო. მაგრამ ჩემი ძმა, ვატყობ, სულაც არ იწუხებს თავს.

ფრინველებში ყველაზე ძალიან ძიაჩემის ნაჩუქარი მტრედები მიყვარს, ჩემი მწიფე შინდისფერია, ჩემი ძმისა — თეთრი. ხან ეზოში დაგოგმანობენ და საამურად ღუღუნებენ, ხან კი აღმა-დაღმა დაფრინავენ, ფრენით გულს ოჯერებენ და მალევე სამტრედეში ბრუნდებიან.

სანამ გიო ძია ღამისთევით მინდორში წავა სათიბად, გვიბარებს: თქვენ იცით, იფხიზლეთ, მზემ ადგომა არ დაგასწროთ, ჟურთასმენა გაამახვილეთ, ამოდენა ფრინველი რაიმეს არ დააჭამოთ, უამრავი უზნეო ძაღლი და კატა დაეხეტება. თუ პირი მიაწვდინეს, ფრთიანსაც მოიგდებენ და უფრთოსაც. მეტადრე საყურადღებო პატარები, უფრთონი არიან; არარა გააჩნიათ, რომ თავი დაიცვან ან გაეცალონ. წისქვილი რომ წისქვილია, თუ სიმინდის გამოსაფქვავად წახვიდეთ, ერთ-ერთი ოჯახში დარჩით.

მარტოდ დარჩენილებმა მე და ჩემმა ძმამ სიცხის დროს გასანიავებლად ბაღის თავში, კაკლის ხეზე ფანჩატური გავიკეთეთ. ძლიერ რომ დაცხება, ავვარდებით ზევით ორივენი, გავიძრობთ პერანგებს და ერთიმეორეს გვერდიგვერდ მივუწვებით.

მე ყოველთვის წიგნს ავიყოლებ ხოლმე წასაკითხად, მაგრამ ცალი თვალი ეზოსკენ მიჭირავს, ჩემი ძმა კი, როგორც კი თავს მისდებს, იმ წუთშივე ჩაეძინება. მაგრამ მტრედები სწორედ მაშინ გადაუვლიან ფრთების ტყლაშატყლუშით ფანჩატურს, როცა ის ღრმა ძილშია და ფშვინავს. დაფეთებული წამოსწევს ხოლმე თავს და გულმოსული შეუკურთხებს.

ერთხელაც წისქვილში წასასვლელად

ვემზადები. სასიმინდეში ვზივარ და სიმინდის ტარეებს ვჩირჩნი ტომარაში, თან კურდღელივით ცქვიტად ვამახვილებ ყურთასმენას. უცებ ძმის ბურდღუნი გავიგონე. წამოვხტი და ეზოში გავვარდი. მტრედები დაუჭერია, დამჯდარა და ფრთებს აცლის. ქორივით დავაცხერი, ხელი ავუკარი, დაოსებულები და შეშინებულები ხელიდან დავაყრევინე. შინდისფერზე ვერ მოესწრო, თეთრისთვის კი ფრთებზე სულ გაეცლია ბუმბული.

— ხომ არ გაგიჟდი, ბიჭო?! — დავჭყივლე, — ვის გაუგია უფრთო ფრინველი, ისიც მტრედი?

— დაჯღანულმა ამომხედა და მითხრა: — ისე იჭაჭები, თითქოს სულ აქ გესხდნენ და თავს დაგლეჯნებდნენ, ვერ ხედავ, ხან აქეთ არიან და ხან იქით.

— ფრთები იმისათვის მისცა ბუნებამ, რომ უნდა იფრინონ, შენ შენი ძილის დარდი გაქვს, თორემ ესენი ღობის თავზე იღუღუნებენ თუ ღობის ძირში, შენთვის სულ ერთი არ არის?

სხვა აღარაფერი მითქვამს, ტომარა ზურგზე მოვიგდე და წისქვილისაკენ წავედი.

წისქვილში მარტო მოხუცი მეწისქვილე დამხვდა, მაშინვე ჩაყარა ჩემი სიმინდი ხვიმირაში, და როგორც კი დაფქვას მორჩა, წამოვედი.

ეზოს კარები შევაღე და კარგა მოზრდილი კატა დავლანდე, წელით აწეულიყო და პირს აცმაცუნებდა. ჯერ ის გავაფრთხე, მერე ტომარა დავდე და სამტრედეში შევიხედე, სამტრედე ცარიელი დამხვდა. ეზო კი თეთრი და შინდისფერი ბუმბულით იყო მოფენილი.

— გაგიქრეს გამჩენი, ეს რა გიქნია-მეთქი, — ხმამაღლა ვთქვი. ხმაურზე ჩემი ძილისგუდა ძმა გამოვიდა თვალების ფშვნეტით. ეზოში გაშლილი ბუმბული დაინახა და ორი წლის ბავშვივით ღრიალი მორთო.

— ღრიალით რომ ეშველებოდეს... — ვთქვი საყვედურით და თვითონაც რომ არ ავტირებულიყავი, ფანჩატურში ავედი, ფეხმოკეცილი დავჯექი, ხელები მუხლებზე შემოვიხვიე და თავი შიგ ჩავრგე.

შუადღე იდგა, სიცხისაგან ყველაფერი მიყუჩებულიყო, მხოლოდ კალიის გულისშემაწუხებელი ჭრიჭინი ისმოდა. უცებ ზემოთა მხრიდან ყრუდ დაირხა ლითონის გაბმული ხმა, თავი ავწიე და ტაძრისაკენ გავიხედე. სიცხის ბუღში ჯერ ვერაფერი გავარჩიე, მერე კი აშკარად დავინახე ტაძრის გუმბათზე ბუმბულშეთხელებული შინდისფერი მტრედი...

მოულოდნელობით აფორიაქებულს ორჯერ ზედიზედ ხმამაღლა აღმომხდა: შინდისფერი გადარჩა, გადარჩა-მეთქი.

ჩემი ძმა კუნძიდან წამოხტა, აქოშინებული ჩემთან ამოვარდა და მზერა იმ მხარეს მიაპყრო, საითაც მე ვიყურებოდი.

— ფრთებს გადაურჩენია, თურმე რა ბედზე მომისწარი, — თქვა დანანებით...

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

დალის და გელა-მონადირის ამბავი

ბიკინა მინდაძე

გელას სიზმარი

დირეკა მზის ზარი
და ჩამოწვა ბინდი.
გელამ ნახა სიზმარი,
ვითომ იყო დიდი,
ჭქონდა მშვილდი, ისარი,
ვით შეჰფერის გმირებს,
ვითომ თვითონ ის არის
გელა-მონადირე.
... სხვა ვინაა, რომელი
მთის გადაღმა, იქით,
მიზანაუცდენელი,
კლდის ვეფხვი და ჯიქი.
წინ ვინ გადაუდგება
გელა-მონადირეს?
მისი შიშით უსკდება
გული შველს და ირემს.
ოღონდ ერთი მტერი ჭეავს—
თმაგაშლილი დალი...
გზად თუ შემოეყარა,
ვაი, გელას ბრალი!..
— გელავ, დალის შეხვედრა
დაგეცემა მეხად!
ერთი მისი შეხედვა
კლდიდან გადაგჩეხავს.
მაგრამ თუკი იმარჯვებ
და თმებს შესჭრი დალის,
მაშინ შენ გაიმარჯვებ,
ვაი, დალის ბრალი!..

...მზემ გაკვეთა შუაზე
და გაფანტა ბინდი.
ცხადს და სიზმარს შუა დევს
ერთი ბეწვის სიდი.
— გელავ, რეკავს მზის ზარი,
ნათელი დღე გელის.
ზღაპარია სიზმარი,
სკოლისკენ — ჭერი!

დალის სიზმარი

დირეკა მზის ზარი
და ჩამოწვა ბინდი.
დალიმ ნახა სიზმარი,
ვითომ იყო დიდი.
ვითომ მხრებზე ეფინა
ოქროსფერი თმები,
ვითომ ნისლში ეძინა
და არწევდნენ მთები.
ბნელი ღამე თეთრდება
მთვარის ვრილი ცეცხლით,
დალის ტანზე ედვრება
ჩანჩქერების ვერცხლი.
დალიმ ნახა სიზმარი
ცისარტველას დარი,
ვითომ თვითონ ის არის
თმაგაშლილი დალი.
ჯადოსნური სიმები
მოხრილი აქვს მშვილდად,
ვითომ მისი იმედით
ლაღობს ნუკრი შვლისა.
ოღონდ, ერთი მტერი ჭეავ
მთის გადაღმა, იქით,
მიზანაუცდენელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდის ვეფხვი და ჯიქი.
მისი შიშით უსკდება
გული შველს და ირემს.
წინ ვინ გადაუდგება
ველა-მონადირეს?..
მხოლოდ დალის შეხვედრა
ელის ველას მეხად.
ერთი მისი შეხედვა
კლდიდან გადაჩეხავს.
ოღონდ, თუკი იმარჯვებს
და თმებს შეჯრის დალის,
მაშინ ის გაიმარჯვებს,
ვაი, დალის ბრალი!..

...მზემ გაკვეთა შუახე
და გაფანტა ბინდი,
ცხადს და სიზმარს შუა დევს
ერთი ბეწვის ხიდი.
—დალი, რეკავს მზის ზარი—
ნათელი დღე ველის.
ზღაპარია სიზმარი,
სოლისაკენ — ჭერი!

ცხადი

სოლისა და მზის ზარი
რეკავს ლუწად, კენტად...
დალი, ველა ერთ ძერხზე
ისევ ერთად ხვდნენ.
— შემისრულე, რაცა მსურს,
ველას ეტყვის დალი, —
სანადიროდ სიარულს
დანებე თავი,
რა იცი, ვინ შეგხვდება
მეწყერად და მეხად,
ვისი თვალის შეხედვა
კლდიდან გადაგჩეხავს.
ან ვინ დასვა განგებამ
შვლის ნუკრების მცველად...
— შენ არა გაქვს გაგება, —
აწყვეტინებს ველა...
შიში არ მაქვს არავის,
ჩამოიქცნენ მთებიც...
სიზმარი მაქვს ნანახი —
არ შეიჯრა თმები.
დალიმ ეს რა ისმინა,
გაებადრა სახე:
— ველა, ველა, იცი რა,
მეც სიზმარში ვნახე.

მინაწერი

როცა გავცდი სოფელს,
როცა გავცდი სათიბს...
ვინ შემოძხვდა მოკლე
სანადიროო კაბით,
ჩამოშლილი თმებით,
აწყვეტილი ღილით,
თუ უხმობდნენ მთები
— აღმა აუვა ბილიკს?..
ენის წვერზე მედო
და გამიდნა სიტყვა,
არ გამიწურა ღმერთი,
არ გამისკდა მიწა,
და ფარავს ჩემს ჩურჩულს
მოგონების ზარი:
— ნაუ, ნაუ, ნუთუ,
ნუთუ, დალი?... დალი!..

მხატვარი **ზაურ დეისაძე**



ლავრენტი ჭიჭინაძე — 85

85 წელი შეუსრულდა ქართული საყმაწვილო ლიტერატურის მოამაგეს, ჩვენი ჟურნალის ყოფილ რედაქტორს, შიო მღვიმელის სახელობის პრემიის ლაურეატს ლავრენტი ჭიჭინაძეს.

ლავრენტი ჭიჭინაძის ისტორიული მოთხრობები „ბრმა ისარი", „უტეხი მამულიშვილი", „მეფე დესპანი", „ნადირ შაჰის ხმალი" ძალიან მოსწონდათ ადრინდელი თაობების პატარებს. ვუსურვებთ მხცოვან მწერალს ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

ჭონადირე

მონადირე! აბა რა ვარ? ნანადირევი არ მომაქვს თუ? ხელცარიელი მოვსულვარ როდისმე?

მეუბნებიან: არაო.

გარეული ქათამი და იხვი მოვიტანე. — ფარნაოზ, ეგ რა ნადირობააო, ამბობენ, — მაინც არ მთვლიან მონადირედ.

ერთხელ! განა ერთხელ, რამდენიმეჯერ კურდღელი მოვიტანე. ნამდვილ მონადირედ არც მაშინ მაღიარეს.

რაღა არ მოვიტანე ნანადირევი, მაგრამ ჩემთვის მონადირის სახელი ვერა და ვერ გაიმეტეს.

ვიფიქრე: ალბათ, რომელიმე დიდი ნადირი უნდა მოვკლა და იქნებ მაშინ მაინც გავხდე ნამდვილი მონადირე-მეთქი.

აი, რა გამიხდა საფიქრალი. ძალიან მინდა მითხრან: ნამდვილი მონადირე ხარო. ოჰ, როდის იქნება ეს ბედნიერი დღე.

შეიძლება ვინმემ მითხრას: მონადირეობა რა სანატრელი რამ არისო. ეჰ, კაცია და გუნება. ზოგს რა მიაჩნია ბედნიერებად და ზოგს რა!

მე ვაგრძელებ ნადირობას. კვირაში ერთი დღე მაქვს ამორჩეული სანადიროდ.

დღე რომელია? შაბათი ან კვირა.

შედეგით ეს დღეები არ განსხვავდებიან. კურდღელი თუ არა, ქათამი ან იხვი მაინც არის ხოლმე.

ერთ დღეს, სანადიროდ რომ წავედი, ჯერ ისევ ბნელოდა. ქალაქიდან შორს გავედი. თავი იქ ამოვყავი, სადაც ტყე იწყებოდა. წამოიშალნენ ფრინველები. მე ერთ მოხდენილ ადგილზე ჩავსაფრდი. დაველოდე, საიდან რა გამოხტებოდა. მინტერესებდა რაიმე დიდი ნადირი მომეკლა: მელა, მგელი, დათვი ან გარეული ღორი. არ ვიცოდი, მათგან რომელი ბუდობდა იმ ტყეში.

ვარ მიმალული.

ლოდინი და ლოდინი.

მონადირისათვის ლოდინი არ არის უცხო რამ.

ვხედავ, სოფლის მხრიდან ოთხამონაღები მორბის მელა. ქათამი მოუტაცია. მიაქვს თავის ბუნაგში. ამ დროს იგრიალა ჩემმა თოფმა. მელა გადაკოტრიალდა. მერე უცებ წამოხტა. მიატოვა ქათამი. ცოტა ზე ბარბაცით გაიარა, დაეცა. ამასობაში მეც მივედი. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. შემომ-

მხატვარი **ედუარდ ამბოკაძე**

ხედა. ვინ იცის, რა იხატებოდა მის თვალებში. იქნებ მისაყვედურებდა: რას მერჩოდით!

რა თქმა უნდა, მელაც სიცოცხლის მოტრფიალეა, მაგრამ მსუნაგი ნადირია.

ესეც ნადირი!

ახლა ხომ ვარ მონადირე!

მელა გვერდზე ჩამოვიკიდე.

კიდევ მინდა რაღაც მოვკლა.

ისევ ლოდინი!

ვხედავ, ტყიდან ხტუნვა-ხტუნვით გამოიჭრა ნაცარა კურდღელი. ეს პატარა უწყინარი ცხოველია. მაგრამ ხორცი აქვს გემრიელი. ჩემმა თოფმა ახლაც შეარხია აქაურობა.

ნანადირევ მელას კურდღელი მიმატა.

მონადირე არა ხარო, აბა ახლაც გაბედონ და მითხრან!

მზე კარგად წამოიმართა.

იმ დღეს ასე დასრულდა ჩემი ნადირობა.

დაიმედებული ვიყავი, მეტყოდნენ, ახლა კი ნამდვილი მონადირე ხარო. მაგრამ... არც ახლა მითხრეს.

გადავიწყვიტე იმედი: დაე, ნუ ჩამთვლიან მონადირედ. მე ხომ ნანადირევი ყოველთვის მომაქვს. ამის მეტს აბა, რას მოსთხოვ მონადირეს? ნადირიც ხომ მოვკალი.

ერთხელაც ჩემს ნაჩვევ სანადირო ადგილს მივაშურე.

აი, ეს დღე მახსოვს.

რატომ?

ხელცარიელი დავბრუნდი.

გაუკვირდათ. დამაყარეს კითხვები: ნუთუ დღეს ვერაფერი დაინახეო?

როგორ არა. დავინახე ის, რაც არასოდეს არ შემხვედრია.

მკითხეს: — მერე ვერ მოპკალ?

— აბა, როგორ მომეკალა? შველი იყო. რა ლამაზი შველი! ტყიდან გამოვიდა, უცებ შეჩერდა. თავი მაღლა ასწია. მიმოიხედა. საფრთხე რომ ვერაფერი შენიშნა, ეტყობოდა, დამშვიდდა, ბალახი მოწიწკნა. მერე მაინც აქეთ-იქით მოავლო თვალი მინდორს. ისევ ბალახს დასწვდა. მე დიდხანს ვუყურე იმ უწყინარ ლამაზ სულდგმულს. ვუცქირე, ვუცქირე და ვერ ვძღებოდი მისი ცქერით, მან კარგა ხანს დაჰყო მინდორზე და მერე ისევ ტყეს მიაშურა. მე კი შინ წამოვედი, აი ასე, ასე ხელცარიელი.

— აი, ნამდვილი მონადირე ახლა ხარ! — მომაძახეს.

სწორედ ამის შემდეგ დამერქვა ის სახელი, რაზეც დიდხანს ვოცნებობდი.

როგორც იქნა, დამერქვა მონადირე!

ლავრენტი ჭიჭინაძე

ფისუნია ფეფენა

სტეფანე მხარგრძელი

გასუქდა და გასქელდა
ფისუნია ფეფენა,
ვეიან რომ გაიღვიძა,
ტახტზე გადაესვენა.
თაგვებს აღარ მიირთმევს
და ზის როგორც ბატონი,
შენვე უნდა მიართვა
რძე, ყველი და მაწონი.
თავზე ახის, უქნარა,
დიდებსა თუ პატარებს
და დროს სჯშლის თქვეფაში
და კრუტუნი ატარებს.
ეგებ კატას ამნაირს
თვალი მოჰკრათ თქვენკენაც,
არსად გააჯანოთ
ეს ფეთხუში ფეფენა.

მხატვარი **გიორგი როინიშვილი**

ჩოგბურთი

ნოდარ გუგუშვილი

ჩოგბურთის მსგავსი თამაში პოპულარული გართობა იყო საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის მეფეთა კარზე და, როგორც სანახაობა, წარმატებით უწევდა კონკურენციას რაინდთა ორთაბრძოლებს. მაგრამ შუა საუკუნეებში მოთამაშენი ბურთს ერთმანეთს მხოლოდ ხელით აწოდებდნენ. ჩოგანი, როგორც სპორტული ინვენტარი, ხმარებაში შემოვიდა XV საუკუნის მიწურულს. 1610 წელს პარიზში ჩოგნების ხელოსანთა გაერთიანებაც კი ჩამოაყალიბეს.

დროთა განმავლობაში სამეფო ოჯახების წევრთა და დიდგვაროვანთა ყოველდღიური გართობა უბრალო ხალხმაც შეიყვარა. აი, სწორედ მაშინ გახდა ჩოგბურთი სპორტის სახეობა. წარმოიშვა ჩოგბურთის მოყვარულთა პირველი სტიქიური გაერთიანებები, ხალხის თავშეყრის ადგილებში აშენდა ჩოგბურთის მოედნები. გაჩდნენ პირველი ჩემპიონები მდაბიო ფენების წარმომადგენელთაგან. ამას არისტოკრატები მტკივნეულად განიცდიდნენ, ვინაიდან ჩოგბურთი მაინც თავიანთ საკუთარებად მიაჩნდათ.

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

დიდმა ბრიტანეთმა სპორტის ბევრ სახეობას დასდო ამაგი, მათ შორის ჩოგბურთსაც. 1875 წელს ინგლისელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს ჩოგბურთის პირველი, ყველასათვის ხელმისაწვდომი წესები, რომლებიც მცირე შესწორებებით დღესაც ძალაშია. ამ წესების თანახმად თამაშს ოფიციალურად „ლაუნ-ტენისი“ (ლაუნ ინგლისურად მინდორს ნიშნავს) უწოდეს. თავდაპირველად ჩოგბურთს მხოლოდ ბალახით დაფარულ მოედანზე თამაშობდნენ. მერე ნელ-ნელა ხმარებაში შემოვიდა მიწის და წვრილაგურნაყარი მოედნები. ჩოგბურთს ასფალტის ან ბეტონის საფარიან მოედნებზეც თამაშობდნენ; არც ისე დიდი ხნის წინ კი მან დარბაზებშიც შეაღწია. ამ პერიოდიდან მოყოლებული თამაშს უფრო მარტივად — ტენისს (ე. ი. ჩოგბურთს) უწოდებენ.

ინგლისში ძნელად ეგუებიან სიახლეებს და ამიტომ დღესაც შენარჩუნებულია ტენისში ქულათა ათვლის ძველი წესი, რომელიც ბევრისთვის გაუგებარია. მართლაც რატომ იცვლება ჩოგბურთში ანგარიში ასე უთანაბროდ — 15:0-ს 30:0 მოჰყვება, მერე 40:0 და ამის შემდეგ — გამარჯვება. განა უფრო მარტივი და გასაგები არ იქნებოდა ათვლის ჩვეულებრივი თანამიმდევრობა — 1:0, 2:0, 3:0 და ა. შ. რა თქმა უნდა, იქნებოდა, მაგრამ ინგლისელებმა ვერ უღალატეს ტრადიციას — ძველად ჩოგბურთს მხოლოდ ფულზე თამაშობდნენ. პირველი მოგებული ქულისათვის დაწესებული იყო თხუთმეტი ფრანგული კაპიკი, მეორესათვისაც ამდენივე, მესამესთვის კი ოდნავ ნაკლები — ათი, რომ დამარცხებულის ჯიბე ძალიან არ შეთხელებულიყო.

1877 წელს ინგლისში საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ჩოგბურთის ყველაზე საინტერესო და პრესტიჟულ ტურნირს — უიმბლდონის ტურნირს (უიმბლდონი ლონდონის გარეუბანია). უიმბლდონის ტურნირი, ამავე დროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატია ბალახის კორტებზე (კორტი ჩოგბურთის სათამაშო მოედანს ჰქვია). ჩოგბურთის სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კიდევ სამი შეჯიბრება — ავსტრალიის, საფრანგეთის და აშშ-ის ღია ჩემპიონატები. იმ ჩოგბურთელს, რომელიც ერთ სეზონში ოთხივე შეჯიბრებას მოიგებს, ყველაზე საპატიო ჯილდო — „დიდი მუზარადი“ გადაეცემა. „დიდი მუზარადის“ მფლობელთა რაოდენობა თითებზეა ჩამოსათვლელი. უკანასკნელად ჯილდო გადაეცა გერმანელ ჩოგბურთელ ქალს შტეფი გრაფს.

საქართველოში ჩოგბურთს არც ისე დიდი ხნის, მაგრამ მყარი ტრადიცია აქვს. ყველაზე პოპულარული ქართველი ჩოგბურთელია ალექსანდრე მეტრეველი, რომელიც ბარე ოცჯერ იყო ევროპის ჩემპიონი, წარმატებით გამოდიოდა უიმბლდონის ტურნირზეც, სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებშიც. ასევე ძლიერი ჩოგბურთელი იყო თეიმურაზ კაკულია. დღეს კი ქართველ ჩოგბურთელთა შორის პოპულარობით ვერავინ გაუტოლდება ლელა მესხს, რომელიც კარგა ხანია მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ოცეულში ირიცხება და სულ უფრო ჯიუტად უახლოვდება ყველა სპორტსმენისათვის სანუკვარ მიზანს — უძლიერესთა ათეულს.

ფეხბურთელის ოცნება

ბეჟან სვანიძე

აგერ ბურთი,
აგერ მე და
აგერ მოედანი.
სხვა რა მინდა,
თვალიც მიჭრის,
ღონეც მაქვს და ჯანიც.
ბურთს რომ დავდევ,
არ მაშინებს
არც წვიმა, არც ქარი.
გავიწაფე, უკვე მინდორს
შევაჩვიე თვალი...
უსათუოდ უნდა გავხდე
ბურთის ჯადოქარი,
რომ მოვფინო საქართველოს
ეს ხმა სანუკვარი:
დარტყმა!
დარტყმა!
კიდევ დარტყმა!
არის!
არის!
არის!
ბაკურ ლომიძემ აიღო
მეტოქეთა კარი!

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

ვეძებთ ორ ძმა ახალკაციშვილს

გიორგი პაპუაშვილი

არ შეწუხდეთ, ბავშვებო! არ იფიქროთ, სახლიდან გავიდნენ და აღარ დაბრუნდნენ, და ახლა ისევ დავეძებდეთ. უკვე ვიპოვეთ, მაგრამ უნდა გიამბოთ, როგორ დაიკარგნენ.

ვეძებთ ორ ძმა ახალკაციშვილებს-მეთქი, ასეთი სათაური იმიტომ მივეცით ამ მოთხრობას, რომ უფრო გასაგები ყოფილიყო, თორემ, თუ დავწერდი, ვეძებთ ძმებ ახალკაციშვილებს-მეთქი, ეს უფრო დიდ შეშფოთებასა და არევ-დარევას გამოიწვევდა, ახალკაციშვილი მარტო ორი ძმა კი არ არის, ხუთი ძმაა, და, ვინც მათ იცნობს, იფიქრებდნენ, ყველანი დაკარგულანო.

ეს სხვათა შორის, და ახლა კი იმ ორ ძმაზე უნდა გიამბოთ. ახალკაციშვილები ფონიჭალაში ცხოვრობენ, კორპუსსაც დაგისახელებდით, მაგრამ, ვიცი, სტუმრობას მოისურვებთ, და მეშინია, ვაითუ ღირსეული მასპინძლობა ვერ გაგიწიონ და გამიწყრნენ, დაუკითხავად რად გამოვეგზავნე ასეთი საპატიო სტუმრები, ხომ იცი, სასურველ სტუმარს ღირსეული დანვედრა სჭირდება და, ამ უსურსათობაში, როცა ბალიშის კამფეტიც კი არსად იშოვება, რა მასპინძლობა უნდა გავუწიოთო. მართალია, ერთი თხილის გული ცხრა ძმას გაუყვია, მაგრამ მოულოდნელი სტუმრობა მაინც შეაკრთობთ.

ძმები ახალკაციშვილები, როგორც გითხარით, ფონიჭალაში ცხოვრობენ, მაგრამ ზოგს ალბათ ფონიჭალაც არ გაუგონია და ეგეც უნდა გაგაცნოთ. ფონიჭალა თბილისის განაპირა სამხრეთ უბანს ჰქვია, რუსთაველისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. ადრე მას სოღანლუღს ეძახდნენ, მაგრამ უფრო ადრე ფონიჭალა ერქვა და თქვენმა მამა-პაპამ კვლავ დაუბრუნა იმ ადგილს ძველი ქართული სახელწოდება და ქართული მოსახლეობაც, მათ შორის ახალკაციშვილების დიდი ოჯახიც, თავიანთი მშვენიერი შვიდეულით — ხუთი ძმითა და ორი დით. აი, მათი სახელებიც: არჩილი, დავითი, თამარი, ვახტანგი, გიორგი, იოსები და ნინო. დიდებული სახელებია, არა? რაკი სახელები თანამიმდევრულად ჩამოვთვალე, ალბათ მიხვდებოდით, რომ იმ ხუთი ძმიდან ყველაზე პატარები — იოსები, ანუ სოსე და გიორგი დაიკარგებოდნენ. შეიძლება, იფიქროთ, ნინო უფრო პატარა ყოფილა და რატომ ის არ დაიკარგაო, მაგრამ ის მუდმივად დედის კალთაში ზის და როდის იყო, დედის კალთიდან ბავშვები იკარგებოდნენ?! გიო და სოსე კი ყვინჩილა ბიჭები არიან, ყველაფერზე გაიძახიან, «მე თვითონ, მე თვითონო» და როცა ფონიჭალიდან სამგორში პაპას ესტუმრნენ, ამ «მე თვითონობით» სახლიდან გაიპარნენ, ეზოში ჩავიდნენ, სხვა ბიჭებს სათამაშოდ აეტორღიალნენ და, როცა თამაშით დაიღალნენ და ყველანი შინ წავიდნენ, მოულოდნელად პაპას სადარბაზო ვეღარ ინიშნეს. იწანწალეს და სხვა სადარბაზოში ამოყვეს თავი. შეაღეს კარი და სხვის სახლში აღმოჩნდნენ. ბიჭებს გაუკვირდათ, სახლში რომ ნაცნობი არავინ დახვდათ, მაგრამ არ დაბრუნდნენ.

19. ₮33

ეროვნული ბიბლიოთეკა

იფიქრეს, სტუმრები მოგვივიდნენო.

— დედა სად არის? — ჰკითხა გიომ ხნიერ ქალს, რომელმაც კარი გაუღო.

— დედა? — გაუკვირდა დამხვდურს, — არ ვიცი, შვილო! რა ჰქვია დედაშენს?

— ქეთინო.

— რა გვარია?

ბიჭი შეიშმუშნა.

შენ რა გვარი ხარ?

— ახალკაციშვილი.

— ახალკაციშვილი ქეთინო... — ჩაფიქრებით წარმოთქვა ქალმა, — არა, შვილო, არ ვიცნობ.

— დედა მინდაა! — ატირდა სოსო, და ხმა მისცა გიომაც.

— გალაქტიონ, აბა, აქ გამოდი! — მეორე ოთახიდან გასძახა ქალმა. მალე შუატანის, ხანდაზმული და თმაშეევრცხლილი კაცი გამოვიდა მეორე ოთახიდან. ბიჭებს დანახვაზე შუბლი გაეხსნა და შესძახა:

— ეს რა კარგი ბიჭები მოსულან ჩვენთან! ღმერთმა ხომ არ გამოგვიგზავნა?

— დაკარგულნი. — ნაღვლიანად უპასუხა ცოლმა.

— თუ დაკარგულან, აქ როგორღა არიან? — გაეცინა გალაქტიონს და ბიჭებს მიუახლოვდა, — ვინც ჩვენთან მოვა, დაკარგული არ ეთქმის.

ვიოს მცირეოდენი იმედი გაუჩნდა ამ კარგი პაპის ჭკვიანი სიტყვებით, მაგრამ სოსე არავის აღარ უსმენდა.

— ნუ ტირი, გენაცვალე! გავიცნოთ ერთმანეთი! მე ვარ გალაქტიონ ბაბუა, გვარად ჩაჩიბაია, ეს კატო ბებიაა. აი, თქვენ კი რა გვარის ბიჭები ხართ?

— ახალკაციშვილი, — უპასუხა გიომ.

— ვისი შვილები ხართ?

— ქეთინოსი.

— ახალკაციშვილი ქეთინო... ასეთი ვინმე არ ვიცი და რა ვქნა, ქალო?! უიმედოდ შეხედა გალაქტიონმა ცოლს.

— არც მე ვიცი და იმიტომ დაგიძახე, — თავი იმართლა იმანაც.

— აბა, წამოდიან ჩემთან! — ორივე ძმას ხელები ჩაკიდა პაპა გალაქტიონმა და გარეთ გაიყვანა. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს,

— გიო, გიოო, სად მიხვალთ?! — მოესმათ ბიჭებს დედის საყვარელი ხმა.

— აგერ, ჩვენი დედა! — ღია ფანჯრისაკენ მიუთითა გიომ ბაბუა გალაქტიონს.

— ეგ არის დედაშენი, ბიჭო?.. ეგ ხომ ჩვენი ქეთინოა?! — გაიკვირვა ბაბუა გალაქტიონმა, — მე კი გამკვირდა, ვინ არის ქეთინო ახალკაციშვილი-მეთქი. დედის გვარიც არა გცოდნია. ეს თუ პატარაა, შენ ხომ დიდი ხარ?!

ბიჭებმა ყველაფერი ინიშნეს და დედის კენ სწრაფად გაიქცნენ.

— შენი ბრალია ეს ყველაფერი! — ღიმილით უსაყვედურა ბაბუა გალაქტიონმა ასევე გაღიმებულ, მაგრამ საკმაოდ შეშფოთებულ ქეთინოს, — პაპასთან

რომ ხშირად მოგყავდეს, სახლი არ დაავიწყდებოდათ. მაგათ პაპას მაგათზე ამოსდის მზე და მთვარე და თქვენ კიდევ ახალი მთვარესავით იშვიათად გამოჩნდებით ხოლმე... შენი გვარიც უნდა გესწავლებინა, თავიანთი გვარი რომ ასწავლე!

— იციან, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. რომ გეკითხათ, შენი პაპა რა გვარიაო, მაშინ გეტყოდნენ.

— მართლა, ეგ ვერ მოვიფიქრე. რატომ შენ თვითონ არ მითხარი, ბიჭო?

— ვერც მე მოვიფიქრე, — თავი იმართლა გიომ და ყველანი გაიცინა, ვინც კი მათ საუბარს ისმენდა. სმენით კი ბევრნი უსმენდნენ, რადგან ამასობაში კატო ბებიას ყველასთან დაერეკა, ბავშვები დაიკარგნენ და თქვენი სტუმრები ხომ არ არიანო.

მხატვარი **გიორგი ჩაჩანიძე**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკითხი ბიჭი

ტარიელ ჭანტურია

თუა კაცი მწიგნობარი,
თუა კაცი ნაკითხი,
რიონს აღმა მიაბრუნებს,
ძირში მოთხრის ნეკით ხეს!
ნეკით? მაგრამ ნეკოდენას
ნეკი არც კი მოუჩანს!
ჰო, ჰო, მართლა! გაჯრილი აქვს!
თუმცა უკვე მოურჩა!
ნეკოდენა — წიგნის კაცი —
არის ისე ნაკითხი,
არ იცოდეს, — ქვეყანაზე
არ არსებობს საკითხი!

ეს კი არის: დიდ წიგნებზე
ფუტკარივით დაცოცავს!
იმ დღეს ხალხი სიცილისგან
ლამის იეო, დახოცა!
კედევ კარგი, შიგ არ მოუვა,
როცა წიგნი დახურეს!
დადის ასე ფურცლებზე და
ტექსტს ზემოდან დაჰყურებს!
თუა კაცი მწიგნობარი,
ესე იგი ნაკითხი,
არაგვს აღმა ააბრუნებს,
ძირში მოთხრის ნეკით ხეს!
ნეკოდენაც — წიგნის ჯია —
გახლავთ დიდი ნაკითხი,
ნეკოდენამ არ იცოდეს —
არ არსებობს საკითხი...

მხატვარი **ნანა ალიბეგაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქნის გასაცხი

ზოთა ხოდაშნელი

გულეკითელია გვირილა,
გარუჯულ გორზე დამდგარი.
გუბული გამოუქროლებს,
გორაკებს გააქვთ დანდგარი,
განდაგან გულით გაძლილა —
სხვაგან სად ნახოთ ამგვარი,
გვერდით, როგორ მწიფს, გაჩვენოთ,
გოგრა, გულაბი, გარგარი...

ავსაცხეხი



თუ ქვემოთ მოყვანილ ტექსტში სწორად ამოარჩევ შვიდ სიტყვას და თავის ადგილს მოუნახავ უჯრედებში, ფერად სვეტში წაიკითხავ სიტყვას ზაფხული.

შუადღეა. გაგანია სიცხე. არ ისმის ფოთლების შარიშური, ფრინველთა გალობა. მხოლოდ ფუტკარი ზუზუნებს, თავს დასტრიალებს ყვავილებს.

ჯილა

გამოდის 1904 წლიდან.
საქართველოს კურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო"

მთავარი რედაქტორი
რევაზ ინანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამგოკაძე, მანანა ანთაძე, ლამარა გაგუა, სასილ გოგიბერიძე, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯუარა ნადირაძე, თენგიზ ჩალაური (პ/მგ. მდივანი), ბეჟი ძნელაძე, ბეჟი ჯიჯინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
გიორგი როინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, კოსტავას 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; საშს. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწყობად 9.05.91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.07.91 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 60.000, შეკვეთა №981.

ყდაზე ნახატი
ვაჟა ჟურხულიასა

672/105.

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპტომობილის ისტორიიდან

ზოთა ამირანაშვილი



პირველი ავტომობილი

ავტომობილი შეიქმნა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს. მისი გამომგონებელი გახლდათ გერმანელი ინჟინერი კარლ ბენცი. იგი უბრალო მშრომელი ხალხის ფენიდან იყო გამოსული.

ჭაბუკობის წლებშივე ცდილობდა კარლ ბენცი თვითმავალი ეტლის გაკეთებას, მაგრამ მის ოცნებას მხოლოდ მოგვიანებით შეესხა ფრთები. უკვე სპეციალისტი იყო, როდესაც თავის პატარა სახელოსნოში დაამზადა ცალკეული ნაწილები და დაიწყო ჯერ ორტაქტიანი, ხოლო შემდეგ ოთხტაქტიანი ძრავის აგება. და აი, 1885 წლის გაზაფხულზე სახელოსნოს ეზოში უკვე იდგა რადიატორით, მოსამართი მოწყობილობითა და საჭით გამართული სამთვლიანი ავტომობილი.

ავტომანქანის ამბავი სწრაფად მოედო ქვეყანას. 1889 წელს კარლ ბენცის ავტომობილი მსოფლიო გამოფენაზე გაიტანეს პარიზში.

ტრანსპორტის ისტორიაში ახალი პერიოდი დაიწყო.



კარლ ბენცი და რძის საზიდარი

კარლ ბენცი უკმაყოფილო იყო, რომ ქუჩაში მოძრაობის წესების დამცველმა პოლიციამ ასე მცირე სიჩქარით მოძრაობა დაუდგინა.

ერთ დღეს მან მოიფიქრა: პოლიციელებს შესთავაზა, მასთან ერთად გაესეირნათ ავტომობილით. ისინიც ჩასხდნენ. მაგრამ როდესაც მათ ერთცხენიანმა რძის საზიდარმა გაუსწრო, ერთ-ერთმა პოლიციელმა წამოიძახა:

— ბატონო ბენც, უფრო ჩქარა არ შეგიძლიათ წასვლა?

— როგორ არა, მაგრამ უფლება არა მაქვს, — მიუგო ბენცმა, — მოძრაობის წესების დამცველმა კომისიამ ამიკრძალა.

— მაგაზე ნუ სწუხართ, გასწიეთ უფრო სწრაფად, — წაახალისეს ერთხმად პოლიციელებმა.

როდესაც ბენცმა სულ იოლად გაუსწრო რძის საზიდარს, უკვე ცხენის ტრანსპორტზე უფრო ჩქარი სვლის ოფიციალური ნებართვა მიიღო.

იმდროინდელი ავტომოგზაურობა

პირველი ავტომობილი ქალაქად საათში ექვსი, სოფლად თორმეტი კილომეტრი სიჩქარით მოძრაობდა.

ქალაქში რომ ავტომობილი გამოჩნდებოდა ხოლმე, მობინადრეები ქუჩაში გამოდიოდნენ, — უნდოდათ საკუთარი თვალით ეხილათ ახალი ეტლი, რომელსაც უცხენოდ შეეძლო სიარული. მანქანის წინ ზარის წკარუნით კაცი მირბოდა და ხალხს მოსალოდნელი ხიფათისაგან აფრთხილებდა.

მაშინ ავტომობილით მგზავრობა ბევრს დიდ საშიშროებად მიაჩნდა. ვინც ავტოთი უნდა გამგზავრებულიყო, აღელვებული ემშვიდობებოდა ნათესავებსა და ნაცნობებს, რადგან ფიქრობდა: «ვინ იცის, ეგება უკან ვეღარც კი დავბრუნდე, მგზავრობა ხომ აგრე სახიფათოაო!»